№ 222 ოქტომბერი 15, ოთხშაბათი 1886 ოქტომბერი 15 ოთხშაბათი № 222

ივერია

გაზეთი ღირს

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	7 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურსა დგრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1886 წელიწადი

გაზეთი „ივერია" 1-ლის ოქტომბრიდამ წლის დამლევამდე ღირს 3 მ. 50 კ.

ტფილისი, 14 ოქტომბერი

ერთი დიდი უბედურება სოფლისა მაშინ არის, როცა რაიმე საქმე აუჩნდება სასოფლოდ და დავაში გაიბამს თავსა. მაშინ ასეთი კალია მესევა ხოლმე უნუგეშო სოფელს,. რომ შინ მოტანილს ქონებას, მართალ კალიასაგან გადარჩენილს ჭირნახულს, თავის ბასრ კბილს ჩაჰკიდებს ხოლმე, მართალ კალიაზედ უარესის სიხარბით ზედ დაეცემა და მაძღრობაც აღარ მოეკიდება ხოლმე: დღიდამ-დღე, ნელ-ნელა, აუჩქარებლად, დიდის ოსტატობით სწოვს სოფელსა, სჭამს და სოფელი არა ჰგრძნობს, რომ დამღუპველი ჩრჩილი შესჯდომია და აფუჭებს. პირ-იქით, რაკი ამისთანა კალიას მოუხერხებია, სოფელი თავის ბადეში გაუბამს და შეუტოპინებია, სოფელი წინად გაღებულ ხარჯს ჰნანობს, ამოდენა დავვხარჯია და ეხლა თავი როგორ დავანებოთო,—და სოფელი აღარას ჰზოგავს და ტყუილ-უბრალოდ ეთელინება. ეს წყარო, ხშირად სოფლის უმეცრებისაგანაც წარმომდინარი, რაკი ერთხელ ხელთ იგდო სოფლის მწოველმა, აღარ დაუშრება ხოლმე, დღე-მუდამ მოდის და იგიც ეწაფება, სვამს რაც ძალი და ოსტატობა აქვს და რაც მეტი წინად დაულევია, მით უფრო მეტი იმედი აქვს, რომ სოფელი ამ წყაროს აღარ მოუწყვეტს წინანდელის დანანების გამო. რაკი იციან, რომ უმეცარი სოფელი ადვილად ამყოლია; რაკი იციან, რომ თუნდ შეუძლებელი რამაც დაჰპირდე და შეუძლებელზედ წააქეზო, ოღონდ ნატვრა და წადილი გაუგო გლეხ-კაცობას და ამ მხრით მოჰფხანო გული,—რაკი ეს იციან, ვამბობთ ჩვენ,—სოფელს ადვილად ჩაიტყუებენ ხოლმე და თვითონ სოფელი სიხარულით ხელში ეძლევა ყველას, ვინც კი ამისთანა საქმეს იკადრებს თავის საკუთარის თავის სარჩენად და საკვებავად. თვითონ სოფელს შინაც აღმოუჩნდებიან ხოლმე ამისთანა გულ-შემატკივარნი. ვინ არ იცის, რა რიგად ჰღუპვენ სოფელს მისივე მკვიდრნი, რომელთაც გლეხ-კაცობა „სოფლის პოვერნიებს" ეძახის და თავის საქმეზედ ატარებს. როგორც ეს „პოვერნიები," ისეც გარედამ შემოსულნი ვექილები, რაკი სოფელს ხელში ჩაიგდებენ ხოლმე რომელისამე საქმის გამო, საქმის მოგებას და მალე გათავებას კი არა ცდილობენ, არამედ საქმის გაგძელებას, დახვანჯვას, ტყუილ-უბრალოდ გაბმა-გამობმას, რომ წყარომ არსებითის პურისამ დიდხანს იდინოს მათთა წყურვილთა მოსაკლავად. თანხებს კი, რა თქმა უნდა, ბევრს დაუღლაგებენ სოფელს, რომ ტყუილი ვერ გაუგონ და განზრახვას ვერ მიუხვდნენ. არა ერთი სოფელი წაუცდენიათ ამისთანა ვაჟ-ბატონებსა და არა ერთი სოფელი გამოუხრავთ. ხშირად სოფელი იქამდე მიუყვანიათ, რომ მთავრობაც-კი იძულებულ გაუხდიათ სოფელზედ ძალა მიეტანა და დაესაჯა სოფელი.

ამ ბოლოს ხანებში, პეტერბურგის გაზეთების სიტყვით, გუბერნატორებს ნოვგოროდისას, ხარკოვისას, ტავრიდისას, კიევისას, ეკატერინოსლავისას, პოდოლისას, ვარონეჟისას, ტულისას და უფიმისას უცნობებიათ მთავრობისათვის, რომ ეგრედ წოდებულნი „პოვერნიები" გლეხთა სადავო საქმისანი დღე-მუდამ აქეზებენ გლეხობას უსაბუთო და უსაფუძვლო დავების დასაწყებად, ტყუილის ქაღალდების შედგენაში მონაწილეობას აღებინებენ, გლეხებს ატყუებენ და იმისთანა ხელშეკრულობას აღებინებენ ხოლმე, რომ მერე სულ იღუპებიან. ამის გამო უმაღლესს მთავრობას განუზრახავს ამისთანა ბოროტს წამალი რამ დასდოს და გლეხ-კაცობა დაიხსნას ამ მუქთა-მჭამელთაგან. უმაღლეს მთავრობას ამისათვის ორი გზა აღურჩევია. ერთი ისა, რომ გლეხ-კაცობას ნება მიეცეს თავისის საქმისა გამო სიტყვიერი საჩივარი და თხოვნა შეიტანოს ხოლმე და საადმინისტრაციო დაწესებულება ვალდებულად გახადოს მიიღოს ამ გვარი საჩივარი და თხოვნა. ამით გლეხ-კაცი იძულებულ აღარ იქნება წიგნის მცოდნე კაცი მონახოს, ქაღალდი დააწერინოს და ამაში ხარჯი რამ გაიღოს. მეორე ისა, რომ სოფლის „პოვერნიობას" და ერთობ ვექილობას ზღუდე რამ დაედოს, რომ ლხინი ჭირად არ გადექცევოდეს ხოლმე გლეხ-კაცობასა. ეს უკანასკნელი განზრახვა მთავრობისა უფრო იმ საეჭვო ადვოკატებზეა მიმართული, რომელნიც ჩუმად უწერენ გლეხებს არზებსა და ხშირად უსაფუძვლო დავიდარაბაში აბმენ. ამის თაობაზედ კანონი უკვე მოუმზადებია იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო საბჭოში შესატანად. რადგანაც ეს კანონი დაუპირებიათ კავკასიაშიაც შემოიტანონ, ამის გამო ჩვენ ვეცდებით ვაცნობოთ იგი ჩვენს მკითხველებსა.

ახალი ამბავი

⁂ ამას წინად ჩვენ დაესწარით წირვაზე წმ. მარინის ეკკლესიაში, ავლაბარში, სადაც სამრევლო სკოლაა გამართული. მწირველი ბრძანდებოდა ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე ეპისკოპოსი კრებულითურთ. თუმცა ქართულად გალობდნენ ზოგიერთა მღვდლები და დიაკვნები, მაგრამ ჩვენი ყურადღება უფრო წმ. მარინეს ეკკლესიის სამრევლო სკოლის ყმაწვილების გალობამ მიიქცია. ყმაწვილები გალობდნენ მასწავლებელ თ. ასათიანის ლოტბარობითა. ბ-ნი მასწავლებელი ხელმძღვანელობდა ბენაევის საგალობლით. არ იქნება ურიგო, რომ ყველა სოფლის მასწავლებელმა, რომელმაც-კი იცის ნოტები, იქონიოს ბენაევის საგალობელი, ასწავლოს ყმაწვილებს გალობა და ამ გვარად კვირაობით აგალობოს ხოლმე ყმაწვილები ეკკლესიაში.

⁂ კახეთითგან გვწერენ: ზოგიერთ სოფელში ძალიან ურიგოდ იქცევიან აქაური ვაჭარი ებრაელნი. დაუმეგობრდებიან ხოლმე გლეხის სახლობას და ბოლოს ულმერთოდ ჰღუპავენ. ამ ზაფხულს ერთს ებრაელს მოეტყუებინა ერთი გლეხი. ებრაელი დაჰპირებოდა ორმოც-და-რვა თუმანს და გლეხს კიდევ ამ ფულში 32 საპალნე ღვინო უნდა მიეცა. საწყალი გლეხი გაებრიყვებინა ებრაელს, წაეყვანა ნოტარიუსში და იქ დაემტკიცებინა თამასუქი იმისი, რომ ვითომც ეს ფული მიღებული აქვს გლეხს ჩემგანაო. წამოვიდა მერე ებრაელი, ერთი საპალნე ღვინო აიწყო და ფული აღარ მისცა. ნოტარიუსში დამტკიცებული თამასუქი ებრაელმა მიჰყიდა იაფად ერთ ქართველ ვაჭარ კაცს, რომელიც ამ გვარ საქმეში დახელოვნებულია. ახლა ეს ვაჭარი კაცი ჩაუდგა ამ საწყალ გლეხს და მოსთხოვა, რომ ის 32 საპალნე ღვინო, რომელიც ურიისთვის უნდა მიგეცა, მე უნდა აიწყო, რადგანაც თამასუქი მე მიყიდნიაო.

⁂ ქართლითგან გვწერენ, რომ სოფელ მ—ხს მობრძანდა ერთი ებრაელი და ხმა დაჰყარა ხალხში, რომ მე ექიმი ვარ, «ალისაგან» დალოცვილი და კარაბადინშიაც-კი ვიხედებიო, ოღონდ-კი ავად-მყოფმა ჩემი ავგაროზი გაიკეთოს და მაშინვე მორჩებაო. ამ ცრუ-ექიმს ყოველგვარ ავად-მყოფისათვის ერთი და იგივე წამალი აქვს: დაჰბლაჯნის რაღასაც ქაღალდზედ, წაუკიდებს ცეცხლს და შეუხრჩოლებს საბან-ქვეშ ავად-მყოფსაო. ამას წინად ერთი აქაური კეთილ-შობილი კინაღამ დაარჩო ნამწვის ქაღალდის შეხრჩოლებითაო.

ასე ჰყვლეფავს ხალხს ეს ცრუ ექიმი და ივსებს ჯიბესა. საკვირველი ეს არის, რომ ამ გვარს მაწანწალას უჯერებენ და ფულს აძლევენ ექიმობაში არა მარტო უმეცარნი გლეხნი,

ფელეტონი

ცოდვა სიყვარულისა

პოლ ბურჟეს რომანი

(შემდეგი*)

VIII

მალურებს მეორე სართული ჰქონდათ ქირით აღებული. ამ სართულის ყველა ოთახები გაჩაღებული იყო სანთლებითა. ფანჯრებში შავად მოჩანდნენ კაცები და ქალები. „პაპა მალური", როგორც ხუმრობით ეძახდნენ, იყო პროფესორი პოლიტეხნიკურის სკოლისა და წევრი სამეცნიერო აკადემიისა. კაი დიდი შეძლება ჰქონდა მამისაგან დარჩენილი და სამი გასათხოვარი ქალი ჰყავდა. ყოველს ოთხშაბათობით მისი კარი ღია იყო ნაცნობთათვის და წელიწადში ორჯერ ბალსა ჰმართავდა ხოლმე. ამ ბალების გამართვის გამო მთელს სახლში ერთი ალიაქოთი და ფაცა-ფუცი ატყდებოდა ხოლმე. ყველა ოთახები ღია იყო ამ დღეობებისათვის და მისი სამუშაო კაბინეტიც-კი. და თუმცა ოთახები დიდრონი და ფართონი იყვნენ, მაგრამ ძლივს იტევდნენ ხოლმე აუარებელს მოწვეულებსა. მალურებთან დიდ-ძალი ხალხი დაიარებოდა. პირველი ესა, რომ მისი სახლი იყო ადგილი, საცა თავს მოიყრიდნენ ხოლმე სახელოვანის პროფესორის შეგირდები, დაშორებულნი ერთმანერთს ცხოვრების გარემოების გამო. აქ, როგორც სხვაგან, ფარულად ემშაკობდნენ ერთმანერთთან, ფეხ-ქვეშ ეშლებოდნენ გულის მოგებისათვის აკადემიის გავლენიან წევრთა და დასასრულ მხიარულობდნენ კიდეც იმიტომ, რომ აქ სამი ახალგაზდა ქალი იყო და მასპინძელიც მეტის-მეტად გულ-კეთილობდა. ჯერ მარტო მისი შეხედულობა, სკოლაშივე ყბად-აღებულ, კაცს ლხენის გუნებაზე დააყენებდა ხოლმე. იგი იყო კაცი უშველებელის სისქისა და მოკლე ფეხებიანი. ამას ზედ დაუმატეთ ლურჯი სათვალები, თეთრ-ყვითელი წვერი, უცნაურად შეკრეჭილი, თითქო ნათხოვარიაო, ტანისამოსი და ყოველთვის მორაცრაცე თავი და თქვენც დაიჯერებთ, რომ ეს კაცი მკვდარსაც გააცინებდა. ამ სახის მოხუცი თურმე თავის დროზედ საკვირველი ქალების ტრფიალი ყოფილა, როგორც ამტკიცებდნენ მისი შეგირდები. ოც-და-ორის წლისა იყო, როცა აღმოაჩინა თეორემა, რომელსაც იმისი სახელი ჰქვიან დღესაც და მას შემდეგ თხზულება თხზულებაზედ უწერია. როცა თოთხმეტის საათის ჯაფისა და შრომისაგან დაღალულ-დაქანცული იგი საღამოობით გამოვიდოდა შინითგან, ხშირად უკან ასდევნებია ყმაწვილ-მუშა ქალებს იმ უბნისას, საცა თითონ მდგარა. ბევრს თანხებს აძლევდა ხოლმე, რომ როგორმე შეეცდინა, მაგრამ ისეთი მახინჯი იყო, რომ პირში მოურიდებლად სასაცილოდ იგდებდნენ. მეცნიერი აქეთ-იქით მიიხედავდა, ყურს ხომ არავინ მიგდებსო და უკანასკნელად, როგორც დაურღვეველს საბუთს, წასჩურჩულებდა ხოლმე ქალებს: მე მალური ვარ, თეორემის მომგონიო. როცა ცოლი შეირთო, ცოტად დაწყნარდა და ღვთის მოყვარე შეიქმნა, მაგრამ მხიარული გული კი მაინც შერჩა და ნამეტნავად მაშინ მოილხენდა ხოლმე, როცა რომელსამე ახალს თეორემას წააწყდებოდა. უსათუოდ ამ ბალის დღესაც ამისთანა რამ შეემთხვია, იმიტომ რომ იგი კარებში იდგა და ტკბილის ღიმილით ყველა სტუმარს დახვდებოდა, თუმცა ამათში ერთსაც ვერა სცნობდა. სახის დახსომების უნარი სრულებით არა ჰქონდა. მის ახლო ბუზღუნებდა მისი გულითადი მეგობარი პროფესორი მორო, ერთი ახმახი და პირ-ხმელი მათემატიკოსი. რამდენადაც პაპა მალური მხიარული იყო, იმდენად ეს იყო პირ-კუშტი. იმ წუთს, როცა ელენე კიბის ბანზე ადიოდა და თავის თბილ წამოსასხამს იხდიდა, ორივე ეს მეცნიერი ლაპარაკობდნენ ერთს ქალზედ, რომელსაც ის-ის იყო გაევლო მათ წინ და რომელსაც მეტის-მეტად გულ-ღია კაბა ეცვა და საკმაოდაც ჩაზერებულიყო. პაპა მალური ეუბნებოდა თავის მეგობარს: აი გეომეტრია-კი თავის დღეში არა ბერდება... ოთხ-კუთხედი ჰიპოტენუზისა მარად დაუმჭკნარი და ახალია...

— რაც შემეხება მე,—მიუგო მორომ, სწორედ მოგახსენო, ქალი გვერდ-მოგრეხილია, თუ კუზიანი, სწორედ დადის, თუ კოჭლობს, მე მაინც ვერ გამირჩევია, რა არის სილამაზე და რა არის მახინჯობა.

ფორტეპიანო კადრილს უკრავდა. ბალის ხმაურობამ მორთო მთელი ოთახები. მალურს ჩამოერთმია შაზელისათვის ორივე ხელი, სხვა ეგონა და ეუბნებოდა: „ჩემო საყვარელო, ჩემო ძვირფასო არტურო." ელენე-კი შურით უყურებდა ამ მეცნიერთ, რომელთ ლაპარაკს ყური მოჰკრა.—ესენი მაინც, ჰფიქრობდა იგი,—თავის დღეში ვერ გამოიცლიან იმ საშინელს, დაუსრულებელს წამებას, რომელიც კაცს აღარც არა რაიმე ფიქრისათვის მოაცლის, არც რაიმე სხვაზედ ალაპარაკებს, არც რაიმე საქმეს ასაქმებს. ამ დროს ელენეს მოეხვევნენ მალურის ქალები დედითურთ, ოთხივე ერთ-

---

*) იხ. „ივერია" № 221.

არამედ ისეთნიც-კი, რომელთაც ცოტაოდნად მაინც უნდა შეეძლოთ გაარჩიონ მაწანწალა მატყუარა ნამდვილის ექიმისაგანაო.

⁂ იმერეთითგან გვწერენ, რომ სამტრედიაში ერთს ვაჭარს კაცს რამდენიმე ღორი დაეკარგა და წავიდა მინდორში საძებრადაო. პატარა ხანს უკან იპოვნა ღორები, რომელიც დაეკლათ ვიღაც ყმაწვილებს მინდორში, იქვე ამზადებდნენ და დროების გატარებას ეპირებოდნენო. ამ ყმაწვილებმა, რომელნიც კეთილ-შობილის შთამომავლობისანი აღმოჩნდნენ და სამტრედიის ახლოვე სოფელში სცხოვრობენ, დაინახეს თუ არა ღორების პატრონი, მისცვივდნენ და იმდენი სცემეს, რომ თავი ხუთად გაუხეთქეს საცოდავს ექიმმა დაამტკიცა მისი სიკვდილი ცემისაგან.

ამ ლოთიბაშის ყმაწვილებისაგან ასეთი საზიზღარი საქციელი ერთი და ორი არ არისო. სამტრედიას მოსვენება არა აქვს იმათაგანაო.

⁂ ცხენის-რკინის-გზის მოსამსახურეთა დაუდევრობას ძრიელ უჩივიან ამ ბოლოს დროს. ამათს გაუფთხილებლობას და უზრუნველობას სამზღვარი აღარა აქვსო. გარეკენ ცხენებს რაც ძალი და ღონე აქვთ და ქუჩაში გამვლელ-გამომვლელთ-კი არ აფრთხილებენ ზარის რეკითა და ხან კაცს დააჯახებენ ვაგონს, ხან ფაეტონსაო. ამას წინად ერთის ყმაწვილის კაცისათვის თითები მიემტვრია ვაგონს და კინაღამ კედელზე მიეჭყლიტა. წარსულ კვირას კიდევ ნიკიტინის ცირკის პირ-და პირ ერთი კაცი წაექცია და კინაღამ თავ-პირი დამტვრეოდა. 12 ოქტომბერს კიდევ, როგორც ამბობს გაზეთი «კავკაზი», ვორონცოვის ძეგლთან ვაგონი დაეხალა ფაეტონს, რომელშიაც ქალი იჯდა, და მაშინათვე თურმე გადააბრუნა. ქალი კიდევ კარგად გადარჩა, მაგრამ მეფაიტონე-კი ძრიელ დაიჩეჩქვაო.

⁂ რაღა ცხენის რკინის გზის მოსამსახურენი და რაღა ჩვენის კურთხეულის ტფილისის ზოგიერთის უბნის მცხოვრებნი. მოგეხსენებათ, რომ ჩულურეთში რიყიდამ კლდე-კლდე ქალაქმა აიყვანა ავლაბარში გზა, რომელსაც „ციციანოვის აღმართს“ უწოდებენ. ამ გზას დიდი ხარჯი მოუნდა, ძალიან ძნელი გასაკეთებელიც იყო და მეტად კარგი სანახავიც არის. მაგრამ ავლაბრელებისთვის ეტყობა სულ ერთია, სიკეთეს უზმენ, თუ არა. ვინც კლდეზე სდგა, იღებს თურმე ნაგავს და ჰყრის იქიდამ ამ ახალს გაკეთებულს გზაზე. ხშირად მოსიარულეთ ზედ თავზედ ეყრება იქითგან გადმოქანებული ნაგავიო.

⁂ კვირას, შუა ღამისას, გაჩენილა ცეცხლი ზამლინსკის აფთიაქში. მიხეილოვის ქუჩაზედ ტალანში ლამპარი გადმოვარდნილიყო და წაჰკიდებოდა იატაკს. ახლო-მახლო მედუქნეებმა და ბაყლებმა შეიტყეს ეს ამბავი და შეცვივდნენ სახლში ცეცხლის გასაქრობადაო. როცა ცეცხლი გააქრეს, მხოლოდ მაშინ გამოიხედეს გარედ აფთიაქის მოსამსახურეებმაო.

ნაკვესი

ერთ სადილზე აკაკის ღვინო დაასხალეს და როდესაც იმან უარი სთქვა, არა ვსვამ ღვინოსო, მაშინ ერთმა მოქეიფეთაგანმა აიღო თასით ღვინო, კისერში ჩაასხა და უთხრა:

— მაშ თუ ღვინის სმა არ იცოდი, ჩვენს სუფრაზე რათა ჯდებოდიო.

პოეტმა, რასაკვირველია, ხუმრობად მიიღო და სიცილი დაიწყო...

გაიარა რამოდენიმე ხანმა მას შემდეგ. ერთხელ აკაკი სტოლს უჯდა და სწერდა; მივიდა ის ახირებული მოქეიფე და ამოუჯდა გვერდით. პოეტმა მაშინათვე ქაღალდი მიაწოდა, კალამი გადასცა და სთხოვა:

— ერთი რამ დამიწერეო!

მოქეიფემ გაკვირვებით უთხრა:

— მე წერისა რა ვიციო?!

— მაშ თუ არ იცი, ამ ჩემ სტოლთან რა გინდოდაო? მიუგო პოეტმა და ერთი საწერელი მელანი ჩაასხა კისერში.

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. რგანი, 6 ღვინობისთვეს. უკვე გაგონილი უნდა ჰქონდესთ ჩვენს მკითხველებს, რომ ეს სოფელი შორაპნის მაზრისაა, სადაც ამ ჟამად იმყოფება შავი-ქვის მადანი. სოფ. რგანი არის მთიანი და მეტად მიუდგომელი ადგილი; აქ ვერ შეხვდებით ვაკე, გაშლილ მინდვრებს. აქაური უზარ-მაზარი კლდეები სწორედ რომ „თითქოს ცას ებჯინებიან“. მიწა უნაყოფოა; მცირეოდენი გოლვა და წვიმები მავნებელნი არიან აქაურის მოსავლისათვის. წლევანდელმა ენკენისთვის წვიმებმა შეუშალეს ხელი როგორც სხვა სოფლების, აგრეთვე რგანის მოსავალს: სიმინდი გაფუჭდა, ღვინო ხომ ისეც ღმერთს არ უქნია ხოლმე და წელს უფრო სრულიად მოისპო რადგან ყურძენმა ველარ მოასწრო დამწიფება და სიცივეები დაუდგა მალე. ოსეთის მთებს, რომელნიც თითქმის ენკენისთვის დამდეგსავე თოვლით დაიფინნენ, დიდი გავლენა აქვსთ აქაურობაზე და ამიტომ ზამთარი აქ ადრე იწყება. ყველა ამ ნაკლულევანებასთან ორი დიდი ღირსებაცა აქვს სოფ. რგანს: აქაური ჰავა აბასთუმნის ჰავასა ჰგავს სწორედ. აქვე არის შავი-ქვის მადანი. შვიდი წელია, რაც აქ გაცხარებული მუშაობაა შავი-ქვისა და ამ შვიდ წელიწადში საკმაოდ ისარგებლეს აქაურმა მცხოვრებლებმა; მიწის სიმწირისა გამო შეწუხებულნი ცოტაოდნად წელში გაიმალნენ. სოფ. რგანის საზოგადოება შესდგება ოთხიოდე პატარ-პატარა სოფლებისაგან: თვით რგანი, ზედა-რგანი, შუნიკაური და თაბაგრები. ამ საზოგადოებაში ირიცხება დაახლოვებით ორ-ასს სამოც კომლამდე. ამათში მომეტებული ნაწილი სულ გლეხობაა; თავად-აზნაურობას აქ უფრო ძვირად შეხვდებით. შავი-ქვის მოწყალებით აქაურმა გლეხ-კაცობამ ცოტაოდენი ფულიც შეიძინა და საცხოვრებელიცა. ისეთ მოსახლეს იშვიათად შეხვდებით, რომ ორი-და-სამი უღელი ხარი არა ჰყავდეს და ერთი ცხენი მაინც არ მოეძებნებოდეს. ყველანი ერთი-ერთმანერთს ჯიბრში უდგანან და სცდილობენ ერთმა მეორეს წინ გაუსწროს შეძლებითა და სარჩოს შოვნითა. ასეა თუ ისე, რგანელებს თავიანთი საქმე კარგად მიჰყავთ. მხოლოდ ერთი შეუნდობარი შეცდომა მოსდით რგანელებს. აქამდე ამ საზოგადოებას სკოლა არა აქვს და ამდენი მოზარდი ყმაწვილები წერა-კითხვის უსწავლელნი რჩებიან.

უსკოლობის მიზეზი გახლავთ მცხოვრებლების უთაურობა. ამოდენა ხალხში ერთი ისეთი კაცი არ ურევია, რომელმაც თავს იდოს ეს კეთილი, ქვეყნისათვის სასარგებლო საქმე და შთააგონოს ხალხს სწავლისა და წერა-კითხვის საჭიროება. დარწმუნებული ვარ: რომ გამოჩნდებოდეს ვინმე და ამ საგანზე ორიოდე სიტყვას მაინც იტყოდეს, უმრავლესობა ადვილად დათანხმდებოდა სკოლის დაარსებაზედ. მაგრამ სად არის ასეთი კაცი?.. უსკოლობის მიზეზია აგრეთვე ისიცა, რომ ყველა სიხარბეშია შესული და ფულის შოვნისთვის გაუჭყეტია თვალები. ყველას გონება სარჩოსა და სიმდიდრის შეძენაზეა ეხლა მიცლილი და სხვა არაფრის დარდი არ აწუხებსთ, თითქოს არ შეიძლებოდეს ერთსა და იმავე დროს ფულის შეძენასაც მისდიონ და შვილებიც დაზარდონ. ორ-ასს სამოც კომლს კაცში სამ-ოთხს თუ შეხვდები, რომ ძლივს-ძლივობით წერა-კითხვა იცოდეს...

სოფელი მაინც უნდა ეცადოს, რომ გამართონ სკოლა. ზოგან სურვილი აქვთ სკოლის გამართვისაცა და სწავლისაცა, მაგრამ შეძლება-კი არ შესწევთ; ზოგან კიდევ, შეძლება იმოდენი აქვთ, რომ შეუძლიანთ სკოლა შეინახონ, მასწავლებელი დაიჭირონ და წერა-კითხვა მაინც ასწავლონ ბაშვებსა, მაგრამ მოხერხება-კი არა აქვთ.

ნიგოეთელი

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ჟურნალ „Вѣстникъ Европы“-ს უკანასკნელ ნომერში დაბეჭდილია შჩედრინის ნაწარმოები „ჭრელ-ჭრელი წერილები“. ამ წერილებში ავტორი ეგრედ წოდებულ „ჭრელ ხალხზე“ ლაპარაკობს.

მოგვყავს ამ წერილების შინაარსი ისე, როგორც გაზეთ „Русскій Курьеръ“-შია ნაამბობი.

> აჭრელდა ხალხიო,—ამბობს შჩედრინი. ამიტომ ცხოვრებაც გაძნელდა; ველარავის მიჰნდობიხარ, აღარა გრწამსრა. საცა მიიხედავ — ყველგან უსაქმოდ, ურწმუნოდ ხეტიალობასა, სულის სილატაკესა, უფერულობასა ჰხედავ. ვისგანაც სრულიად არ მოელი, სწორედ ის ჩაგკრავს კისერში...

რა გვარ ხალხს უწოდებს შჩედრინი «ჭრელ ხალხსა»?

> „ჭრელი ხალხი“ ის არისო,—ამბობს ავტორი, რომელსაც სინიდისი სრულიად გაულახნია, დაუხშვია,—ამის მაგიერ პირში ორ-ორი ენა ჩაუდვია, რიგ-რიგად თითო-თითოს ატარტარებს და ტყუილებს ლაპარაკობს და უფრო ხშირად კი ორივეს ერთად ამოქმედებსო.

„ჭრელ ხალხსა“ შჩედრინი სამ ჯგუფად ჰყოფს.

> პირველი ჯგუფი ყველაზე საშიშარი ხალხია. ამ ხალხს გულიც ჭრელი აქვს და ჭკუაც; ამ ხალხს სინიდისი სრულიად დაუკარგავს და არ ესმის, როგორ შეუძლიან სინიდისმა კაცი დასტანჯოს.
>
> მეორე ჯგუფს ის „ჭრელი ხალხი“ შეადგენს, რომელსაც თავის კუჭის მეტი არა ახსოვს რა. ამ გვარის ხალხის სიცოცხლე სწორედ რომ განუწყვეტელი ტანჯვაა...
>
> მესამე ჯგუფს წარმოადგენს ის „ჭრელი ხალხი“, რომლისათვისაც დაბადებიდამვე, აკვანშივე ბედს საჩუქრად „უფერული ჭრელ-ჭრელობა“, უხასიათობა ურგუნებია. ამისთანა ხალხი მთელს სიცოცხლეში თვალს გიჭრელებს, სცხოვრობს, მოქმედობს და ისე კვდება, რომ თვით სიკვდილის დროსაც ვერ მიმხვდარა, რისთვის სცხოვრებდა, რას აკეთებდა ქვეყანაზე.

ამბობს ბოლოს ავტორი: ეს სამივე ჯგუფი ერთნაირად მავნებელია საზოგადოებისთვის, თუმცა ორი უკანასკნელი ჯგუფი ხშირად შესაბრალიც არის... ამიტომ მომავალი ისტორიაც ასე დააფასებს ამათ ღვაწლს კაცობრიობის წინაშე: ამათზე ისტორია სრულიად ხმას არ ამოიღებსო.

⁂

ნაირად სუბუქის ჰკუისანი, რომელთ ერთად-ერთი საქმე ის იყო, რომ ილხინონ და იმხიარულონ. დედა ეკატერინე მედიჩის მზგავსად იყო ჩაცმული, ქალები: ერთი—ბოშის ქალის მაგვარად, მეორე მერძევე ქალად და მესამე—გლეხის ქალად. კაცებს თითქო თავი ვერ ეხერხებოდათ შავს ფრაკებში. ბევრს მათგანს იმისთანა კაცების სახე ჰქონდა, რომელნიც ხვალ დილით ადრე უნდა ადგნენ და რომელნიც გულში ანგარიშობენ, ეს ცეკვა და მხიარულება რამდენს ძილს დაგვაკლებსო. ლაპარაკი, რომელიც ამ დახშულ ჰაერში გაისმოდა, აოცებდა კაცს შორი-შორობით. ცუდ-უბრალო სიტყვების ნაწყვეტებთან ერთად კაცი ყურს მოჰკრავდა ჰკვიანურს სიტყვებსაც: „ნუ მეტყვით, რომ ბუნებაში კიდევ მრავალი საიდუმლოა აღმოსაჩენი...“ «თქვენ ამ ზამთარს ბევრი იმხიარულეთ?...» «ოჰ, გენიოსო კოშო, რა ძალაა ანალიზისა»... «დედი, ნებას მომცემ კოტილიონზე დავრჩე კიდევ...»

ალფრედ შაზელი ერთის თავის ძველს ამხანაგს ეუბნებოდა თავის გეგმას ახალის ალგებრისას, რომელსაც დიდი ხანია გულში ატარებდა; ელენე-კი, თავ-მობეზრებული მალურის ცოლისა და ქალების ქებითა, ამბობდა თავის გულში: განა ღირდა ამ ბალისათვის ამოდენა ხარჯი გამეწია ტანისამოსზედ? იმის წყალობით, რომ თავის დედი-ნაცვლის ხელში გაიზარდა და ბარონ დე-კერნისაგან ბევრი რამ გაეგონა, მას საკმაოდ მართალი აზრი ჰქონდა შედგენილი იმაზედ, თუ რა არის საზოგადოება. ელენემ კარგად იცოდა, რა განსხვავებაა მართლა დიდ-კაცურ კრებასა და იმ შუათანა ხალხის წვეულების შორის, რომელსაც ეხლა თვალ-წინა ჰხედავდა. მშვენიერი რამ იყო ელენე თავის ციაგ ცის-ფერ და ციაგვე ვარდის-ფერ კაბაში. თვისის მშვენიერების ძლევა-მოსილობას იგი ჰკითხულობდა ქალების შურით სავსე თვალებში, მაშინ, როდესაც კაცნი კი აღტაცებულის თვალით შესცქეროდნენ. ეს გამარჯვება იგრძნო ელენემ, გამარჯვება, რომელიც ისე ძლიერად ათრობს ხოლმე ყოველის ქალის თავ-მოყვარეობას, მაშინაც-კი, როცა ეჯავრება და სძულს.

ელენე ბევრს თამაშობდა, იმიტომ რომ ტანის მოძრაობით უნდოდა დაეამებინა თავის გულის წვა და გლეჯა. და თუ შესწყვეტდა ხოლმე თამაშობას, მარტო იმისთვის, რომ წასულიყო ბუფეტში და რამდენიმე ყლაპი შამპანური ღვინო დაელია. ეს ღვინო გამოაცოცხლებდა, გამოაფხიზლებდა ხოლმე მის გონებას, რომელიც მოქანცული იყო ხანგრძლივის ფიქრითა. იგი იდგა ბუფეტში, ერთის ხელით მარაოს იქნევდა და მეორე ხელში ეჭირა ჭიქა, რომელშიაც ბრწყინავდნენ უკანასკნელნი ოქროს წვეთნი შამპანურისა. გვერდთ ედგა ყმაწვილი კაცი, სრულიად უღირსი, მაგრამ მართებული და თავ-მოწონებული მხოლოდ იმით, რომ ელენე ხელიხელ გაყრილი ჩემთან დადიოდაო. ყმაწვილი კაცი ცდილობდა გაერთო ელენე ლაპარაკით. იგი უამბობდა ერთის კომედიის ამბავს, რომლის გამოც ერთხელ დე-კერნი ძალიან შხამიანად დაიცინებოდა. ელენე პასუხად იმ კომედიის ქებას ეუბნებოდა, თუმცა, რამდენისამე ხნის წინად, თავის საყვარლის სიტყვისამებრ, ძალიან აძაგებდა. იმ კომედიისა და წარმომადგენთა არტისტთა ხსენებაზედ ელენეს თვალ-წინ გამოესახა ვითომც არმანთან ლოჟაში ვზივარო და ცეცხლი მოედო. ამ დროს უეცრად, იქავ ახლო, მოესმა ხმა, რომელმაც თავით ფეხამდე ააჟრჟოლა. ეს ხმა!.. დიაღ, ეს ხმა ვარადის ხმაა, ხმაა იმ კაცისა, რომელმაც ასე სავალალოდ იმოქმედა მის ბედზედ, იმ კაცისა, რომლის სახელი პირში მოახალა არმანმა, როგორც ტალახი შეურაცხ-ყოფისა, როცა უკანასკნელად ლაპარაკი მოუვიდა... რა საიდუმლო და უცნაურმა ბედის-წერამ მოიყვანა ეს კაცი აქ, და თითქმის ორის ბიჯის მანძილზედ აალაპარაკა ელენეს ახლოს, თუმცა-კი ეტყობოდა ელენეს ვერა ჰხედავდა. ელენეს რომ ერთს წამს მაინც გონება შერჩენოდა, მიხვდებოდა, რომ მალურის ნაშეგირდალის მალურისავე ბალში ყოფნა იმოდენადვე ჰკუაში მოსასვლელია, რამოდენადაც თვით ელენეს ყოფნა. განა თვითონ იმის გამო არ მოვიდა აქ, რომ ცოლი არის ამავე ვარადის ძველის ამხანაგისა და მალურის ნაშეგირდალისა? სახეში მიიღებდა იმასაც, რომ, რაკი რამდენისამე თვეით დაშორდა საზოგადოებასა და ქმარსა, ვერსაიდამ-ღა შეიტყობდა, ვინ როგორ იცვალა სამსახურის ადგილი ალფრედის ამხანაგთაგანმა. ხოლო, რაკი ამ ჟამად ისე ატაცებული იყო, ამ უეცარმა შეხვედრამ გააოცა და თითქმის ელდა სცა და ამ გაოცებამ და ელდამ მსწრაფლვე ადგილი დაუცალა იმ მწვავს ტანჯვასა, რომელიც ზოგჯერ კინაღამ დააკიელებდა ხოლმე: „უსამართლობავ, უსამართლობავო!“ იმ ხმით, როგორც ჰკივიან ხოლმე: „გვიშველეთ, ვიწვით!“ ანუ: „ვაი, გვკლამენო!“

გრ. ყ—ძე

(შემდეგი იქნება)

ჟურნალი «Дневникъ Писателя» მოგვითხრობს ერთს სასაცილო ამბავს რუსეთის მწერალის პისემსკის შესახებ, რომელიც ძალიან ხუმარა და ოხუნჯი კაცი იყო და ხშირად ისეთს აზრს წარმოსთქვამდა ხოლმე, რომ კაცს ეგონებოდა, პისემსკი სისულელეს ლაპარაკობსო.

აი, მაგალითად, ერთი ამისთანა ახირებული აზრი პისემსკისა არტისტების შესახებ.

> ერთს საზოგადოებაში როგორღაც ლაპარაკი ჩამოვარდა არტისტებზედაო, მოგვითხრობს ჟურნალი. არტისტს თავისი საკუთარი არაფერი არ უნდა ჰქონდეს, სთქვა სხვათა შორის პისემსკიმაც და ჩვეულებრივის ოხუნჯობით დაიწყო თავის აზრის განმარტება. არტისტს ყოველთვის თავი უნდა სრულიად მოპარსული ჰქონდეს, წარბები და წვერ-ულვაში სრულიად ამოგდებული, ამოჭმული და პირში ერთი კბილი არ უნდა ჰქონდეს შერჩენილიო. მაშინ როგორც უნდა, სახეს ისე გაიკეთებს. თმის გაკეთება, თუ წვერ-ულვაშისა, წარბებისა, ან კბილების ჩასხმა არტისტს აღარ გაუჭირდებაო.
>
> — ხმას რაღა ეშველებაო, ჰკითხეს.
>
> — ძალიან სამწუხაროა, რომ ტყუილის ყელის გაკეთება არ შეიძლებაო,—დინჯად უპასუხა პისემსკიმ.

დრამატიულის არტისტ-ქალისთვის პისემსკიმ აქვე შემდეგი საშუალება მოიგონა თურმე.

> ყველაზედ უმთავრესად საჭიროა, რომ არტისტმა ქალმა თავ-დავიწყებით შეიყვაროს ვინმე. მერე აუცილებლად საჭიროა, რომ შეყვარებულმა ეს ქალი სადმე ერთი ათასის ვერსტის სიშორეზე,—არას გზით ნაკლებ ათასზე,—წაიყვანოს, ულალატოს თავის სატრფოს, ღვთის ანაბრობაზე მიატოვოს, წამოვიდეს და წამოსვლის დროს ერთი კარგადაც მიტყიპოს ქალი. დეე, მერე ამ შორის ქვეყნითგან ქალი ფეხით დაბრუნდეს. აბა ქალმა ყველა ეს გამოიაროს ცხოვრებაში, თავის-თავზე გამოსცადოს ტანჯვა,—და მაშინა ჰნახავთ, როგორ დაიწყებს სცენაზე თამაშობას: იმაზედ უკეთესს მოთამაშეს ვერ წარმოიდგენთო!...

თუმცა ძალიან მეტი კია ნათქვამი, მაგრამ მაინც არ შეიძლება ვსთქვათ, რომ პისემსკის სიტყვებში ცოტაოდენი სიმართლეც არ იყოს.

უცხოეთი

ბოლგარია. ბოლგარიის გამოურკვეველმა საქმეებმა ოსმალეთის სულთანიც გამოიყვანეს მოთმინებითგან. „Politische Correspondenz"-ის სიტყვით, ამ ბოლოს ხანებში ოსმალეთი იმ აზრს დაადგა, რომ ჩვენთვის საზიანოა პოლიტიკა ლოდინისა, საჭიროა მტკიცე ნაბიჯი გადავდგათ და მოვაგონოთ სოფიის მთავრობას, რომ ეხლანდელი საქმეთა გამწვავებული მდგომარეობა იმის შედეგია, რომ დაირღვა ბერლინის ხელ-შეკრულობა და ხსენებულმა მთავრობამ არ აღიარა ის უფლებანი პორტასი, რომელიც ამ ხელ-შეკრულობის ძალით ჰქონდა პორტას მინიჭებულიო. ამის გამო ოსმალეთი კანონიერად არ იცნობს დიდის საერო კრების არჩევანებს და არც ეხლანდელის დროებითის მთავრობის მოქმედებას. სტამბოლში ძალიანა შიშობენ, რომ თუ სულთანმა სრულიად თავი დაანება, თვალ-ყური არ ადევნა ბოლგარიას და ქვა მიაგდო მას საქმეებს, კაი თუ რუსეთმა ჯარი ჩააყენოს ბოლგარიაშიო. ბოლგარიის ერის ალაღ-ბედზედ თავის მინებება არ შეიძლება და ოსმალეთის მოვალეობაა, რომ ბოლგარიაში წესიერება აღადგინოსო.

— უცხოეთის გაზეთებს ეხლა რუსეთისა და ოსმალეთის კავშირზედა აქვსთ ბაასი და სჯა. გაზ. «Daily Telegraph»-ის ბერლინელი კორრესპონდენტი ამბობს, რომ რუსეთს გარდაწყვეტილი აქვს როგორმე ფეხი შესდგას დარდანელს ახლო და ამიტომ განზრახვა აქვს, რომელიმე ადგილი დაიჭიროს დარდანელის ჩრდილოეთის მხრივ, ან მარმარილოს ზღვასთან ერთ-ერთ კუნძული დაიპყრასო. ამ კორრესპონდენტის აზრით, ოღონდ რუსეთმა კი დაარწმუნოს სულთანი, რომ ოსმალეთს არაფერი შიში აქვს, თავისუფლად შეგიძლიან იმოქმედო შენს სახელმწიფოში, მე ყოველთვის შენი მფარველი და მომხრე ვიქნებიო და ოსმალეთი ყოველს რუსეთის სურვილს აასრულებსო.

— ბოლგარიის საქმეებზედ ამ ჟამად გარდაწყვეტილის აზრის შედგენა შეუძლებელია. ის ამბები, რომელიც ბოლგარიიდამ მოგვდის, ერთი-მეორეს ეწინააღმდეგებიან. ბოლგარიის მთავრობა თვითონ ასწორებს თურმე ყველა დეპეშებსა და კორრესპონდენციებს, რომელიც კი სამზღვარ-გარეთ იგზავნება. გაზ. „Républigue Française" ამბობს, რომ ბოლგარიის მთავრობამ რამდენიმე რუმინიის გაზეთის რედაქტორი, რომელნიც ბოლგარიაში საქმების თვალ-ყურ სადევნელად მისულიყვნენ და ჭეშმარიტის ამბის შეტყობა სურდათ, დაატუსაღა და სამზღვარ-გარეთ გაგზავნაო. ამას წინად, მაგალითებრ, ბოლგარიაში მისულა «Indèpendance Roumaine"-ს რედაქტორი ბ-ნი ბუნელი ბოლგარიის საქმეთა მდგომარეობის შესატყობად. ურჩიეს, რუშჩუკში წადი და კაულბარსი გეტყვის ჭეშმარიტს მდგომარეობას ბოლგარიის საქმეებისასაო. გენერალ კაულბარსს ტკბილად მიუღია და უთქვამს, თუ გნებავთ შუმლში მივდივარ და თან წამომყევითო. შუმლიიგან რუშჩუკში დაბრუნების დროს ბოლგარებს ბ-ნი ბუნელი დაუტუსაღებიათ და სამზღვარ-გარეთ გაუგზავნიათ. კარაველოვი და იმისი ორი ამხანაგი ჯერ კიდევ უკმაყოფილოდ არიან ერთი-ერთმანერთზე. კარაველოვზე ძალიან გულ-აღრინებულნი არიან ყველანი იმის გამო, რომ 9 აგვისტოს არეულობაში მონაწილეობა მიუღიაო. როგორც ხმები ისმის, გამოძიებას ბევრი საბუთები აღმოუჩენია იმის შესახებ, რომ კარაველოვს მთავარ ალექსანდრეს წინააღმდეგ უმოქმედნია. ამ ამბავს ასახელებენ იმის მიზეზად, რომ კარაველოვმა ხელი არ მოაწერა იმ განჩინებაზედ, რომელშიაც 9 აგვისტოს დამნაშავეთ დასჯა იყო გარდაწყვეტილიო. კარაველოვი იმ აზრისაა, რომ დამნაშავეთ ნუ დავსჯით იმ დრომდე, ვიდრე ახალს მთავარს არ ამოვირჩევთო. ვენის გაზეთები იწერებიან: გარდაწყვეტილია, რომ სამხედრო სასამართლო მაშინ შეუდგეს დამნაშავეთა საქმის გარჩევას, როცა დიდის საერო კრების საქმეს მორჩებიანო. დამნაშავეთა რიცხვში კარაველოვი უმთავრესს დამნაშავედ ითვლებაო. გრუევმა, ბენდერევმა და სხვათა, რომელნიც დატუსაღებულნი არიან ამ ჟამად, აღიარეს, რომ კარაველოვმა მონაწილეობა მიიღო მთავარ ალექსანდრეს წინააღმდეგაო. სულ-კი 85 ოფიცერია დატუსაღებული, რომელთაც ალექსანდრე ბატტენბერგის წინააღმდეგ მოქმედება ჰბრალდებათო.

* * *

ქუთაისის თავად-აზნაურთ საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ ბანკის წესდების მე-17 § ძალით გასასყიდლად ინიშნებიან ხსენებულს ბანკში დაგირავებულნი უძრავნი მამულნი ქვემო აღნიშნულთა პირთა, შესახვედრ გარდასახადთა შემოუტანლობისაგამო.

გასყიდვა მოისპობა მხოლოდ იმ მამულებისა, რომელთა მეპატრონენი, თანახმად ბანკის წესდების მე-19 § ისა, შეავსებენ ბანკის გარდასახადს და თან განცხადებათა ხარჯებს.

$18^{7}/_{12}$ წლიანნი სესხნი.

ქ. ქუთაისს.

ვარდანაშვილისა, გიგო მახარობელის ძის: ნემეცის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 15,42 კვადრ. საჟ.

დარახველიძისა, მიხაილ ერასტოს ძის: ორპირის ქუჩაზე ორი ქვითკირის სახლი — ერთი ორ-სართულიანი და მეორე ერთ-სართულიანი და მიწა 312 კვადრ. საჟ.

თურქიასი, მამუკა კოსტას ძის: ვოგზალის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 2330 კვადრ. საჟ.

წერეთლებისა: გიორგი და დიმიტრი ექვთიმეს ძეთა და ვასილ სიმონის ძის: ბაღის ქუჩაზე ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 4 დესეტ. 245 კვადრ. საჟ.

მემკვიდრეთა ჩარექოვისა, ელისაბედ სიმონის ასულის: გეგუთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები სარდაფით და მიწა $103^{1}/_{2}$ კვადრ. საჟ.

შამირანოვისა, იოსებ ივანეს ძის: ფრანგების ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 120 კვადრ. საჟ.

დულაძეთა: სოლომონ ნიკოლოზის ძის, სამსონ, სპირიდონ, ალექსანდრე და სიმონ კონსტანტინეს ძეთა: კნიაზის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 23 კვ. საჟ.

დიასამიძეთა: ნესტორ და სამსონ მიხაილის ძეთა: სათავადო ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 20 კვადრ. საჟ.

თავდიდიშვილისა, დავით იოსების ძის, და ავსარქისოვისა, ფარსადან იაკობის ძის: აკოფოვის შესახვევში ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები და მიწა 196 კვადრ. საჟ.

ხარაზოვისა, ანნა გაბრიელის ასულის: პოლიციის ქუჩაზე ორი ორ-სართულიანი სახლი და მიწა 300 კვადრ. საჟ.

მემკვიდრეთა ხელთუფლიშვილისა, ბესარიონ ანდრიას ძის: ორპირის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლები და მიწა 442 კვადრ. საჟ.

ალიბეგოვთა, ალექსანდრე, იოსებ და ივანე ხვთისოვარის ძეთა: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი კვითკირის დუქანი და მიწა 14 კვად. საჟ.

გოგიჩაძისა, სიმონ დიმიტრის ძის: ინგლისის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 200 კვარ. საჟ.

ქუთათელაძეთა, კლემენტი პეტრეს ძის და მეუღლისა მისისა ეკატერინესი: გეგუთის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის და სახლი მიწა 200 კვადრ. ნაჟ.

მურადოვისა, თომა პავლეს ძის: ბალახანის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები და მიწა 54 კვ. საჟენი.

მემკვიდრეთა წერეთლისა, ნესტორ დიმიტრის ძის: ტფილისის ქუჩაზე ორ-სართულიანი სახლი და მიწა 900 კვადრ. საჟ.

გაბუნიასი, ნატალია ქრისტეფორეს ასულის: ტფილისის ქუჩაზე ორი ერთ-სართულიანი სახლი—ერთი ქვითკირისა, და მეორე ხისა და მიწა 284 კვადრ. საჟ.

ლორთქიფანიძისა, ნიკოლოზ გიორგის ძის: მესხეთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 667 კვადრ. საჟ.

მემკვიდრეთა თხორჟევსკისა, სიმონ ვასილის ძის: ალექსანდრეს სლობოდაში ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 189 კვადრ. საჟ.

საბანეევისა, პეტრე თედორეს ძის: ბალახანის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 311 კვად. საჟ.

მებუკისა, ბესარიონ ვასილის ძის: ნემენცის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 309 კვად. საჟენი.

ლოლობერიძისა, ნიკოლოზ ზაალის ძის: გეგუთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 213 კვადრ. საჟ.

მემკვიდრეთა ზალინოვისა, ნიკოლოზ ენოქის ძის: ქარავან-სარაის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები, სარდაფით, და მიწა 36 კვადრ. საჟ.

ზერგელისა, ნატალია მოსეს ასულის: ტფილისის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი, სარდაფით და მიწა 198 კვადრ. საჟ.

ქალანთაროვისა, დავით კარაპეტის ძის: ივანოვის ქუჩის შესახვევში ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 298 კვადრ. საჟ.

მესხისა, მიზარბეგ ფირანის ძის: ივანოვის ქუჩის შესახვევში ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი, სარდაფით და მიწა 198 კვადრ. საჟ.

მატარაძეთა, მიხაილ, ივანე და იოსებ დიმიტრის ძეთა: სილაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 138 კვადრ. საჟ.

ნაიტაკისა, ანნა ბესარიონის ასულისა: ტფილისის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 213 კვადრ. საჟ.

ფიჩხაძისა, მამაჯან ისრაელის ძის: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 9 კვადრ. საჟ. 1 კვადრ. ალაბი.

ხურციძისა, თედორე ვახუშტის ძის: ორპირის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი, დუქანი და მიწა 860 კვადრ. საჟ.

ხუნჯუასი, ნიკო გიორგის ძის: არტილლერიის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 1473 კვადრ. საჟ.

წერეთლისა, სიმონ დავითის ძის: ინგლისის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 1044 კვ. საჟ.

მემკვიდრეთა ჩარექოვისა, ელისაბედ სიმონის ასულის: მახლობლად ქუთაისის რკინის გზის სადგურისა ორი ხის სახლი და მიწა 8006 კვ. საჟ.

ერისთვისა, კონსტანტინე სიმონის ძის: ტფილისის ქუჩაზე ორი ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 1200 კვადრ. საჟ.

ალავიძეთა: ნიკოლოზ და ნოშრევან ოქროპირის ძეთა: ივანოვის ქუჩის შესახვევში ორ-სართულიანი სახლი და მიწა 224 კვადრ. საჟ.

ავალიანისა, ლუკა სიმონის ძის: ტფილისის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 195 კვ. საჟ.

ბინიაურიშვილთა: არონ, დავით, ისხაკა და მიხაილ ელოს ძეთა: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 7 კვ. საჟ.

მემკვიდრეთა გერაძისა, ნიკო გლახუას ძის: ალექსანდრეს სლობოდის მეორე ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 279 კვადრატ. საჟ.

გოკიელოვისა, იაკობ ივანეს ძის: ნემეცის ქუჩაზე ორი ქვითკირის ორ-სართულიანი სახლი და მიწა 288 კვადრ. საჟ,

გაბუნიასი, მიხაილ ბეჟანის ძის, და ძაგანიასი, ოთარა დუტუს ძის: გეგუთის ქუჩაზე ორი ერთ-სართულიანი სახლი—ერთი ქვითკირისა, და მეორე ხისა და მიწა 103 კვადრ. საჟენი.

დგებუაძისა, ლუარსაბ ნიკოლოზის ძის: გეგუთის ქუჩაზე ორი ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლები და მიწა 198 კვადრ. საჟ.

დუჩაიძისა, სოლომონ არტემის ძის: მიხაილის ქუჩაზე ერთ-სართულიანი დუქნები და მიწა 57 კვადრ. საჟენი.

ყაუხჩევისა, ნინა გიორგის ასულის: ივანოვის ქუჩაზე ორ-სართულიანი სახლი და მიწა 264 კვად. საჟ.

მაჩიტიძისა, ტერენტი გიორგის ძის: რიონის ქუჩაზე ორ-სართულიანი სახლი და მიწა 353 კვადრ. საჟ.

მარჯანოვისა, კონსტანტინე ანდრიას ძის: არქიერის გორაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი, ბაღით, და მიწა 1800 კვადრ. საჟ.

მემკვიდრეთა ნიკოლაძისა, ივანე მათეს ძის: გიმნაზიის და სათავადო ქუჩებს შუა ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი დუქნებით და მიწა 216 კვადრ. საჟ.

ფიჩხაძისა, მამაჯან ისრაილის ძის: მიხაილის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 43 კვადრ, საჟ.

ფიჩხაძეთა: მანუახა, აბრამა და შამოელა შაფათას ძეთა: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 11,8 კვად. საჟ.

ცქიტიშვილისა, ფილიპპე ზაალის ძის: მესხეთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი დი მიწა 118 კვ. საჟ.

ცაგარელისა, ნიკოლოზ გიორგის ძის: ნემენცის ქუჩის შესახვევში ორი ერთ-სართულიანი ხის სახლები და მიწა 52 კვადრ. საჟ.

წერეთლისა, მარიამ ბერის ასულის: ტფილისის ქუჩაზე ორ-სართულიანი სახლი და მიწა 398 კვადრ. საჟ.

ჭიპაძისა, რომანოზ ნიკოლოზის ძის: ღენერლის ქუჩის შესახვევში ერთ-სართულიანი ხის სახლი, სარდაფით და მიწა 243 კვადრ. საჟ.

შაშუაშვილთა: შალომა აბრამის ძეთა: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 8 კვადრ. საჟ. 5 კვ. ალაბი.

ელუაშვილისა, მოშა აბრამის ძის: გელათის ქუჩის შესახვევში ერთ-სარ-

თულიანი ხის სახლი და მიწა 89 კვადრ. საჟ.

ბლოტნიცკისა, თეკლე გაბრიელის ასულის: ლევაშოვის ქუჩაზე ორი ერთ-სართულიანი სახლები ქვითკირის და ხისა და მიწა 120 კვადრ. საჟ.

ბუზიაშვილთა, არონ იაკობის ძის, შამოელ, მიხაილ და რაფაელ ისხაკას ძეთა: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 15 კვადრ. საჟ და 5 კვადრ. ალაბი.

გაბაშვილისა, ბესარიონ ალექსის ძის: ორპირის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები და მიწა 72 კვადრ. საჟ.

მემკვიდრეთა ქებაძისა, სოლომონ გრიგოლის ძის: ივანოვის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 203 კვადრ. საჟ.

ქორქაშვილისა, მართა მათეს ასულის: გეგუთის ქუჩაზე ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 887 კვადრ. საჟ.

ლორთქიფანიძისა, ანტონ ნიკოლოზის ძის: ორპირის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 190 კვადრ. საჟ.

მურადოვისა, ეკატერინა, და ნიკოლაშვილისა, ოქროპირის: ალექსანდრეს ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 145 კვად. საჟ.

ნაცვარაისი, დავით ვასილის ძის: გეგუთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 105,5 კვად. საჟ.

რუსაკოვისა, ნიკოლოზ ალექსის ძის: ლევაშოვის ქუჩაზე ორ-სართულიანი სახლი და მიწა 256 კვადრ. საჟენი.

ხმალაძისა, პავლე სპირიდონის ძის: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 8 კვად. საჟ.

თავდიდიშვილისა, აბრამ მარდახას ძის: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 6 კვადრ. საჟ. 4 კვადრ. ალაბი.

უტულოვისა, მარიამ ალექსის ასულის: მიხაილის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 128,5 კვადრ. საჟ.

ჩარკვიანისა, ეკატერინა ანდრიას ასულის: მთის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 423 კვადრ. საჟ

ჭედიასი, პეტრე დავითის ძის: ლევაშოვის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 157 კვადრ. საჟ.

ნაკაშიძისა, ბარბარა სოლომონის ასულისა; ტფილისის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი, სარდაფით, ბაღით, და მიწა 1314 კვადრ. საჟ

აბულაძისა, დავით გიორგის ძის: სილაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 157½ კვად. საჟ.

აქოევისა, სოლომონ პეტრეს ძის: ფრანგების ქუჩაზე ორ-სართულიანი სახლი და მიწა 50 კვად. საჟ.

აბაზაძისა, ვასილ გაბრიელის ძის: გეგუთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 62½ კვადრ. საჟ.

გაბაევისა, ბესარიონ ალექსის ძის: გორას ქვეშეთის ქუჩაზე ორი ქვითკირის სახლი და მიწა 300 კვადრ საჟენი.

გუგუშვილისა, კოსტანტინე ივანეს ძის: ბალახვანის, ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 264 კვადრ. საჟ.

გრაბოვსკისა, როდამ იოსების ასულის: ბალახვანის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 77 კვადრ. საჟ.

გაბაევისა, ისიდორე გიორგის ძის: ლაზრეთის ქუჩის შესახვევში ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 120 კვადრ. საჟ.

ჯიმშეროვისა, დომინიკა ნიკოს ასულის: გემნაზიის ქუჩაზე ორი ქვითკირის სახლები ერთი ორ-სართულიანი და მეორე ერთ-სართულიანი და მიწა, 241 კვადრ. საჟ.

ჯინოშვილისა, პავლე ივანეს ძის: მიხაილის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები და მიწა 434 კვადრ. საჟ

ივანოვთა, იოსებ და თედორე გრიგოლის ძეთა, და სულიკოვისა, გიორგი ელიზბარის ძის: ბალახვანის ქუჩის შესახვევში ორ-სართულიანი სახლი და მიწა 70 კვად. საჟ.

ისაევისა, მიხაილ პეტრეს ძის: უსახელო ქუჩაზე ორ-სართულიანი სახლი და მიწა 254 კვადრ. საჟ

მღებროვისა, ივანე იოსების ძის: ივანოვის ქუჩაზე ორ-სართულიანი სახლი და მიწა 276 კვადრ. საჟ.

მურუსიძისა, ალექსი გრიგოლის ძის: გეგუთის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 86 კვადრ. საჟ.

მურადოვისა, თომა პავლეს ძის, ბალახვანის ქუჩაზე ორი სახლი ქვითკირისა და ხისა და მიწა 686 კვადრ. საჟ.

მდივნისა, ბესარიონ მიზარბეგის ძის: მესხეთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი სახლი და მიწა 1575 კვადრ. საჟ.

მეფისოვისა, სოფიო როსტომის ასულის: ლევაშოვის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 210 კვადრ. საჟ.

პოლოლიკოვისა, ალექსი არტემის ძის: გაგარინის ქუჩის შესახვევში ორი სახლი: ერთი ორ-სართულიანი და მეორე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 145 კვად. საჟ.

რიჟინაშვილისა, ხანნა აბრამის ასულის: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 3,55 კვადრ. საჟ.

საფაროვისა, სალომე სიმონის ასულის: ფრანგების ქუჩაზე ორ-სართულიანი სახლი და მიწა 60 კვადრ. საჟ.

ჩარექოვისა, პეტრე იოსების ძის: ფრანგების ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 95 კვ. საჟ.

ჩარკვიანთა: ალექსი და გიორგი სპირიდონის ძეთა: ორპირის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 527 კვადრ. საჟ.

შავგულიძეთა: პავლე და ლევან გიორგის ძეთა, და დიმიტრი გრიგოლის ძის: ალექსანდრეს სლობოდაში ორი ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლები და მიწა 215 კვადრ. საჟ.

სვანიძისა, ონისიმე ბიჭიას ძის, გეგუთის ქუჩის შესახვევში ორი ქვითკირის ერთ-სართულიანი სახლები და მიწა 312 კვადრ. საჟ.

აბულაძისა, ნიკოლოზ გიორგის ძის: გეგუთის ქუჩის შესახვევში ორ-სართულიანი სახლი და მიწა 250 კვადრ. საჟ.

ავალიანისა, ლუკა სიმონის ძის: ტფილისის ქუჩის შესახვევში ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 105 კვადრ. საჟ.

ადლტესი, ალექსანდრა კონსტანტინეს ასულის: ტფილისის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 1317 კვ. საჟ.

ბებურიშვილისა, გიორგი გურგენის ძის: ტფილისის და მიხაილის ქუჩებს შუა ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები და მიწა 296 კვადრ. საჟ.

ბარამოვისა, გრიგოლ იაგორის ძის: ივანოვის ქუჩის შესახვევში სამი ორ-სართულიანი სახლები: ორი ქვითკირისა და ერთი ხისა და მიწა 550 კვადრ. საჟ.

ბინიაურიშვილისა, აბრამ მოშას ძის: გელათის ქუჩაზე ორ-სართულიანი სახლი და მიწა 77½ კვადრ. საჟ.

ბაქრაძისა, დიმიტრი ბახუტას ძის: მესხეთის ქუჩის შესახვევში ორ-სართულიანი სახლი და მიწა 774 კვ. საჟ.

ბეთანოვისა, ფრანც პეტრეს ძის: ხონის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 1217 კვ. საჟ.

ვარლამოვისა, პეტრე ივანეს ძის: ქარავან-სარაის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის ლუქნები და მიწა 111 კვადრ. საჟ.

დე-რუმინისა, გენრიხ ლორენცის ძის: ტფილისის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 266 კვადრ. საჟ.

ჯაიანისა, პეტრე ოქროპირის ძის: ლევაშოვის ქუჩაზედ ორი სახლი: ერთი ორ-სართულიანი ქვითკირისა და მეორე ხისა, და მიწა 1693 კვ. საჟ.

დალაქიშვილისა, იაკობ პეტრეს ძის: ფრანგების ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის დუქანი და მიწა 70½ კვ. საჟ.

დავითიშვილისა, ისრაილ ელოს ძის: სათავადო ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 8,3 კვ. საჟ.

ზალინოვისა, ბარბარე ზაქარიას ასულის: ივანოვის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი, სარდაფით და მიწა 840 კვადრ. საჟ.

ქუთათელაძისა, სევასტი მიხაილის ძის: ორპირის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 345 კვადრ. საჟ.

მიქელაძისა, ოლღა იოსების ასულის: მესხეთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 634 კვადრ. საჟ.

ქალანთაროვისა, მიხაილ კარაპეტას ძის: ივანოვის ქუჩის შესახვევში ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 265 კვადრ. საჟ.

ნიჟარაძისა, ალმასხან დიმიტრის ძის: ფრანგების ქუჩაზე ერთ-სართულიანი სახლი და მიწა 144 კვ. საჟ.

ნიკოლაევისა, ალექსანდრე ნიკოლოზის ძის: ალექსანდრეს სლობოდაში ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 197 კვადრ. საჟ.

ფხაკაძისა, იაკობ ივანეს ძის: გეგუთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 57 კვ. საჟ.

როინიშვილისა, ეკატერინა ივანეს ასულის: ლევაშოვის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 120 კვადრ. საჟ.

სიდავასი, დავით დავითის ძის: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 53 კვ. საჟ.

ზაბუკიძისა, სუსანასი, ბალახვანის ქუჩის შესახვევში ერთ სართულიანი ხის სახლი და მიწა 66¾ კვ. საჟ.

ტაიგელისა, ივანე ივანეს ძის: ტაიგელის შესახვევში ორ-სართულიანი ხის სახლი ბაღით და მიწა 1300 კვადრ. საჟ.

ხანანაშვილისა, აბრამ ისრაელის ძის, და ციციშვილისა, ყობო: გელათის ქუჩის შესახვევში ორ-სართულიანი სახლი და მიწა 74 კვ. საჟ.

ხანანაშვილთა, დანიილ, აბრაამ, ისხაკ და შაფათა ისრაელის ძეთა: ბაზრის ქუჩაზე ერთ სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 75 კვ. საჟ.

ხანანაშვილისა, შამუელა აბრამის ძის: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 3 კვად. საჟ.

ცაგარელისა, ნიკო გიორგის ძის: ნემეცის ქუჩის შესახვევში ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 148 კვადრ. საჟ.

ჩხეიძისა, პროსკოფია სიმონის ასულის: თურმანიძის ქუჩაზე ორ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 190 კვადრ. საჟ.

ჩოგავაძისა, დიმიტრი მათეს ძის: ალექსანდრეს სლობოდის მეორე ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 210 კვადრ. საჟ.

იაკობიშვილისა, შალომა ელოს ძის: აკოფოვის შესახვევში ერთ სართულიანი ქვითკირის დუქნები და მიწა 27 კვადრ. საჟ.

იაკობიშვილისა, მოშა ელოს ძის: გელათის ქუჩაზე ორ-სართულიანი სახლი და მიწა 140 კვადრ. საჟ.

უუფარაძეთა, ლევან და გიორგი სიმონის ძეთა: ალექსანდრეს სლობოდის მეორე ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 203 კვადრ. საჟ.

კოკოჩოვისა, მარიამ სტეფანეს ასულის: ნემეცის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი სარდაფით, და მიწა 84 კვადრ. საჟ.

კურევსკისა, ელენე იოსების ასულის: ბალახვანის ქუჩაზე ორი ერთ-სართულიანი სახლები ქვითკირისა და ხისა და მიწა 87 კვადრ. საჟ.

მიქაბერიძეთა, ალმასხან, გიორგი და ნიკო სპირიდონის ძეთა: სათავადო ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 8½ კვადრ. საჟ.

ფირალოვთა, სტეფანე და ლევან ავგუსტინის ძეთა: ხელთუფლიშვილის შესახვევში ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 24,6 კვადრ. საჟ.

თავდიდიშვილისა, მოშა შაფათას ძის: ქარვან-სარაის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 18 კვადრ. საჟ.

თუმანოვთა, პავლე და ლევან ალექსანდრეს ძეთა: მახლობლად ქუთაისის რკინის გზის სადგურთა, სამი ქვითკირის სახლი, ერთი ორ-სართულიანი და ორი ერთ სართულიანი და მიწა 7334 კვადრ. საჟ.

ჭოლოშვილისა, ალექსანდრე ბეჟანის ძის: სილაზე ერთ-სართულიანი სახლი და მიწა 462 კვადრ. საჟ.

ჩხეტიასი, მინა ივანეს ძის, და გვანცალაძისა, კონსტანტინე სტეფანეს ძის: თურმანიძის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 147 კვადრ. საჟ.

შავგილუძისა, ალექსი გაბრიელის ძის და გვანცალაძისა, თეიმურაზ მიქელის ძის: პირველს ქუჩაზე ალექსანდრეს სლობოდაში ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 179 კვადრ. საჟ.

ასათიანისა, ლუკა ნიკოლოზის ძის: გოშპიტლის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 310 კვადრ. საჟ.

ბეგალოვისა, მიხაილ გიორგის ძის: პოლიციის ქუჩაზე ორი სახლი, ერთი ორ-სართულიანი და მეორე ერთ-სართულიანი და მიწა 357კვ. საჟ.

ჯანელიძისა, ბახვა გრიგოლის ძის: გეგუთის ქუჩის შესახვევში ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 151 კვადრ. საჟ.

ჯინოშვილისა, პავლე ივანეს ძის: მიხაილის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები და მიწა 233 კვადრ. საჟ.

ერისთავისა, დავით გრიგოლის ძის: ნემეცის ქუჩის შესახვევში ორი სახლი, ერთი ქვითკირისა ერთ-სართულიანი და მეორე ორ-სართულიანი ხისა და მიწა 357 კვადრ. საჟ.

კაუხჩევისა, ივანე იოსების ძის: გემნაზიის და მიხაილის ქუჩებშუა ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები და მიწა 658 კვადრ. საჟ.

მეფისოვთა, პეტრე და მიხაილ ივანეს ძეთა: ფრანგების ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 253 კვადრ. საჟ.

მღებროვისა, გიორგი ბადურას ძის: პოლიციის ქუჩის შესახვევში ორი სახლი: ერთი ორ-სართულიანი ხისა და მეორე ერთ-სართულიანი ქვითკირის და მიწა 666 კვადრ. საჟ.

ნინიკაშვილისა, სიმონ თომას ძის: გოშპიტლის ქუჩაზე სამი ერთ-სართულიანი სახლები: ერთი ქვითკირისა და ორი ხისა და მიწა 340 კვადრ. საჶ.

მემკვიდრეთა ნიჟარაძისა, ერმალოზ ოტიას ძის: გეგუთის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სიხლი და მიწა 319 კვადრ. საჟ.

ოვანეზოვისა, პეტრე ივანეს ძის: პოლიციის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 81 კვადრ. საჟ.

ფილიპოვებთა, ელენე, მარიამ, სიმონ, გრიგოლ და იოსებ: ლევაშოვის ქუჩაზე სამი ერთ-სართულიანი სახლები: ერთი ქვითკირისა და ორი ხისა და მიწა 165½ კვადრ. საჟ.

პოლოლიკოვისა, მიხაილ პავლეს ძის: ფრანგების ქუჩაზე ორი სახლი ერთი ორ-სართულიანი და მეორე ერთ-სართულიანი ხისა და მიწა 161 კვადრ. საჟ.

რუხაძისა, კესარია ათანასის ასულის: ორპირის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 243 კვადრ. საჟ.

რუხვაძისა, ვასილ სიმონის ძის: თურმანიძის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 69 კვადრ. საჟ.

თუმანოვებთა, პავლე და ლევან ალექსანდრეს ძეთა და აკოფოვისა, სტეფანესი: ქარავან-სარაიის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები და მიწა 172 კვადრ. საჟ.

თურქიასი, მამუკა კონსტანტინეს ძის: ეოკზლის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 211 კვადრ. საჟ.